

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

31 იანვარი, 2018 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი;

სატენდერო კომისიის წევრები

გია გულორდავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მაიზურ ნანავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

თენგიზ შანავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

თენგიზ ქობალია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის უფროსი;

ლაშა ჯაიანი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

გიგა ფარულავა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შესყიდვების სამსახურის უფროსი;

კობა ჭეჭია – II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბესიკ ქარდავა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილების უფროსი;

დავით ხუნჯუა – II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილების უფროსი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის ყველა წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დასაჯილდოებლად დიპლომებისა და სიგელების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის აპარატის წევრის (გ. ფარულავას) ინფორმაცია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დასაჯილდოებლად დიპლომებისა და სიგელების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.








სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია/Zugdidi Municipality City Hall

მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება დადგინდა კლასიფიკატორის (CPV) კოდით: „79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, დღგ-ს გათვალისწინებით, განისაზღვრა 500 ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დასაჯილდოებლად დიპლომებისა და სიგელების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვაზე, წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის, ასევე, წინამდებარე სხდომის ოქმის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|--------------|----------------|----|---|---------------|
| 1. |  | ლ. გოგია | (თავმჯდომარე); | 5. |  | რ. კილასონია; |
| 2. |  | გ. გულორიძე; | | 6. |  | თ. კობალია; |
| 3. |  | მ. ნანაია; | | 7. |  | ლ. ჯიანი. |
| 4. |  | თ. შანავა; | | | | |

კომისიის აპარატის წევრები:

- | | | | | | |
|----|---|--------------|----|---|-------------|
| 1. |  | გ. ფარულავა; | 3. |  | ბ. ჯარდავა; |
| 2. |  | კ. ქეჯია; | 4. |  | დ. ხუნჯუა. |